

რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროს

----- შ. -----

№----- ბრძანებით

პოლიტიკური გაერთიანება “მემარცხენე ალიანსი”

შ ე ს დ ე ბ ა

2013 წ.

პოლიტიკური გაერთიანება “მემარცხენე ალიანსი” –ს

წესდება

თავი I ზოგადი დებულებები

- 1.1. პოლიტიკური გაერთიანება “მემარცხენე ალიანსი” შექმნილი არის საერთო იდეოლოგიურ შეხედუალებებზე საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფილობითი დამოუკიდებელი პოლიტიკური გაერთინება, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, “მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანების სესახებ საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად.
- 1.2. პარტია არის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, საჯარო სამართლის სუბიექტი
- 1.3. პარტია თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ
- 1.4. პარტიის იურიდიული მისამართია ქალაქი თბილისი, ა.ყაზბეგის 53. ბინა 1. ტელეფონი 2 39 05 44

თავი II პარტიის მიზნები

2.1. პარტიის მიზნები არის:

- ა. დამოუკიდებელი, სოციალურად სამართლებრივი, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა.

- ბ. გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ხელისუფლების ფორმირება, ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება.
- გ. ქვეყნის ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი ერთიანობისათბის განუხრელი ზრუნვა.
- დ. ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცება.
- ე. აქტიური მოქმედება საქართველოს დირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, საერთაშორისო თანამეგობრობაში.
- ვ. ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განუხრელი დაცვა
- ზ. ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, ღია საბაზო ურთიერთობების აღდგენის და ჩამოყალიბების ხელშეწყობა, თავისუფალი მეწარმეობის განვითარება, კონკურენტულ პირობებში, სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა.
- თ საზოგადოებიოს ყველა ფენის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა.
- ი. ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, უკომპრომისო ბრძოლა ადამიოანის უფლებათა და თანასწორობის დასაცავად.
- კ. სხვა მიზნები რომლების არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

2.2 პარტია თავისი მიზნების შესასრულებლად მოქმედებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო

სამართლის, საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების
საფუძველზე.

თავი III

პარტიის წევრობა

- 3.1. პარიის წევრი შეიძლება იყოს საარჩევნო უფლების მქონე,
საქართველოს მოქალაქე, რომელიც იზიარებს პარტიის მიზნებს და
იცავს ამ წესდებით დადგენილ მოთხოვნებს.
- 3.2. პარტიის წევრად მოქალაქეთა მიღება ხდება, პირადი
განცხადების საფუძველზე, პარტიის მთავარი საბჭოს მიერ,
შესაბამისი, რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის წარდგინებით 2
კვირის ვადაში.
- 3.3. პარტიის წევრობიდან გასვლა ნებაყოფილობითა.
- 3.4 პარტიის წევრისათვის ამ სტატუსის ჩამორთმევა შეუძლია
პარტიის მთავარი საბჭოს, ხმათა 2/3 თუ:

 - ა. მისი სქმიანობა ეწინააღმდეგება პარტიის მიზნებს, წესდებასა და
პროგრამას.

- 3.5 პარტიის წევრებს უფლება აქვს წერილობითი განცხადების
საფუძველზე გავიდეს პარტიის წევრობიდან, რომელსაც პარტიის
მთავარი საბჭოს აკმაყოფილებს.

თავი IV

პარტიის წევრთა უფლება-მოვალეობანი

4.1. პარტიის წევრს უფლება აქვს:

- ა. აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიის ნებისმიერ ორგანოში.
- ბ. თანასწორ საფუძველზე მუშაობდეს პარტიის ყრილობის მუშაობაში.
- გ. მიიღოს ინფორმაცია, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისგან მათი საქმიანობის შესახებ.
- დ. ისარგებლოს პარტიაში არსებული ინფორმაციით.
- ე. გამოიყენოს პარტიის საკუტრებაში რიცხული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.
- ვ. გამოიყენოს და იმოქმედოს პარტიის სიმბოლიკით.

4.2.

პარტიის წევრის მოველეობები.

ა. დაიცვას პარტიის წესდება

ბ. თავის საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელოს პარტიის
მიზნებითა და პროგრამით.

გ. გაუფრთხილდეს პარტიის ღისებას და აუტორიტეს.

თავი V

პარტიის სტრუქტურა.

5.1. პარტიას გააჩნია მართვის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და
მაკონტროლირებელი ორგანოები.

ა. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა.

ბ. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა პარტიის მთავარი საბჭო

გ. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია.

თავი VI

პარტიის ხელმძღვანელი ორგანო.

6.1. პარტიის ხელმძღვანელი – უმაღლესი წარმომადგენლობითი
ორგანოა ყრილობა, რომელიც ტარდება 4 წელიწადში ერთხელ
მაინც, რომლის ჩატარების უზრუნველყოფის პირობებს ადგენს
პარტიის მთავარი საბჭო.

6.2 ყრილობის ქვორუმი განისაზღვრება დელეგატთა 2/3 – ით.

6.3 ყრილობაზე გადაწყვეტილება მიიღება მონაწილე დელეგატთა უბრალო უმრავლესობით.

6.4 პარტიის ყრილობის ფუნქციები:

ა. ამტკიცებს პარტიის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში. რის შესახებაც კანონით განსაზღვრულ ვადაში ეცნობება მარეგისტრირებელ ორგანოს.

ბ. ამტკიცებს პარტიის პროგრამას, რეზოუციებს, მიმართვებს, პოლიტიკურ განცხადებებს, განსაზღვრავს მოქმედების სტრატეგიას.

გ. ოთხი წლის ვადით ირჩევს პარტიის

თავმჯდომარეს /თანა თავჯდომარეებს (ზედიზედ მსოლოდ 2 ვადით) და ისმენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს. პარტიის თავმჯდომარის /თანა თავჯდომარეებს წარდგინებით ყრილობის დელეგატების შემადგენლობიდან არაუმეტეს 11 წევრის /თანა თავმჯდომარეებს შემადგენლობით 4 წლის ვადით ირჩევს პარტიის მთავარი საბჭოს წევრებს და ისმენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

დ. ირჩევს პარტიის სარევიზიო კომისიას და ისმენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს.

ე. იღებს გადაწყვეტილებას პარტიის რეორგანიზაციისა და თვითოლიკვიდაციის შესახებ.

ვ. ამტკიცებს წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

ზ. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვს, პარტიის
თავმჯდომარეს /თანა თავჯდომარეებს , პოლიტიკური ბიუროს 2/3 -ს
და პარტიის წევრთა 1/4-ს.

თავი VII

7.1 პარტიის თავმჯდომარის /თანა თავჯდომარეების
უფლებამოსილება.

ა. წარმართავს პარტიის საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და
ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად.

ბ. წარმოადგენს პარტიას ქვეყნის შიგნით და საგარეო
ურთიერთობებში.

გ. უფლებამოსილია პარტიის მთავარი საბჭოს წევრს განასაზღვრულ
ფარგლებში დამატებით გადასცემს პარტიის უფლებამოსილება.

დ. მართავს პარტიის ფინანსურ სახსრებს და სხვა მატერიალურ
ქონებას.

ე. ხელს აწერს პარტიის ოფიციალურ დოკუმენტებს.

ვ. არის პარტიის მთავარი საბჭოს და სამდივნოს წევრი.
ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას.

ზ. პარტიის ყრილობას წარუდგენს პარტიის მთავარი საბჭოს
შემადგენლობას.

- თ. პარტიის მთავარი საბჭოს შემადგენლობიდან რომელიმე წევრის გამოკლების შემთხვევაში უფლება აქვს მთავარ საბჭოს წარუდგინოს დასამტკაცებლად პარტიის რიგებიდან პარტიის მთავარი საბჭოს წევრის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა
- ი. პარტიის თავმჯდომარე /თანა თავჯდომარეები აირჩევა ზედიზედ მხოლოდ 2 ვადით.

7.2.

- ა. პარტიის თავმჯდომარის /თანათავჯდომარეების გადადგომის შემთხვევაში პარტიის მთავარი საბჭო დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე ყრილობას, რომელიც ირჩევს ახალ თავმჯდომარეს/თანა თავჯდომარეებს.

- ბ. თუ პარტიის თავმჯდომარე საპატიო მიზეზის გამო ვერ ასრულებს წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, მისივე დავალებით მის ფუნქციებს ასრულებს პარტიის მთავარი საბჭოს ერთერთი წევრი.

7.3

- პარტიის თავმჯდომარის /თანათავჯდომარეების გაწვევის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ყრილობას. მის მიერ წესდების უხეშად დარღვევის გამო.

თავი VIII

პარტიის აღმასრულებელი ორგანოები.

8.1.

პარტიის მთავარი საბჭო:

პარტიის თავმჯდომარის /თანათავჯდომარების წარდგინებით ყრილობის დელეგატების შემადგენლობიდან არაუმეტეს 11 წევრის შემადგენლობით 4 წლის ვადით ირჩევს ყრილობა პარტიის მთავარი საბჭოს წევრებს. მისი უფლებამოსილება გრძელდება პარტიის ახალი მთავარი საბჭოს არჩევამდე. მთავარი საბჭოს სხდომები ტარდება, საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ორი თვისა. მთავარი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიღება დამსწრეთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწიტვეტია პარტიის თავმჯდომარის ხმა.

8.2

მთავარი საბჭოს უფლებამოვალეობანი:

1. უზრუნველყოფს ყრილობის ჩატარებას
2. ყრილობათა შორის პერიოდში ორგანიზაციულად განაგებს პარტიის ქონებას.
3. ამტკიცებს პარტიის მთავარი საბჭოს სამდივნოს.
4. იღებს გადაწყვეტილებებს პარტიის საწესდებო მიზნებისა და პროგრამის განსახორციელებლად, საჭირო ღონისძიებების გასატარებლად.
5. ხმათა 2/3-ით წყვეტს პარტიის ევრად მიღებისა და პარტიის წევრის სტატუსის ჩამორთმევის საკითხებს.
6. პარტიის თავმჯდომარის /თანათავჯდომარების წარდგინებით ნიშნავს რაიონული და საალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს.
7. ახორციელებს მისოვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

8.3

მთავარი საბჭოს წევრის მიერ უფლებამოსილების გადამეტების
მოვალეობის შეუსრულებლობის ან საწესდებო მიზნებთან
შეუსაბამო ქცევისათვის მთავარ საბჭოს შეუძლია დროებით
შეაჩეროს წევრის უფლებამოსილება, შერმდგომში ყრილობის მიერ
აღნიშნული საკითხის სავალდებულო მიღებამდე.

8.4

პარტიის მთავარი საბჭოს სამდივნო

პარტიის ყოველდღიურ მუშაობას წარმართავს პარტიის მთავარი
საბჭოს სამდივნო, რომელსაც არაუმეტეს 6 კაცისა პარტიის
თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს მთავარი საბჭო. მთავარი
საბჭოს სამდივნოს მუშაობის წესი და ფუნქციები განისაზღვრება
ამავე საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

8.5

პარტიას გააჩნია სტრუქტურული ქვედანაყოფები რომელთა
უფლებამოსილება განისაზღვრება მთავარი საბჭოს მიერ
დამტკიცებული დებულებით.

თავი IX

პარტიის მაკონტროლირებელი ორგანო

9.1 პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია

9.2

სარევიზიო კომისია უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი
პარტიის ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების საწესდებო
მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე. ოთხ თვეში ერთხელ ატარებს
საფინანსო- საბუღალტრო დოკუმენტაცის რევიზიას და მატერიალურ

ფასეულობათა ინვენტარიზაციას და შესაბამისი დასკვნის
საფუძველზე წარდგინებით შედის პარტიის თავმჯდომარესთან /თანა
თავჯდომარებთან.

9.3

პარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა არანაკლებ 3 წევრისა
ოთხი რის ვადით აირჩევა ყრილობის მიერ. სარევიზიო კომისიის
წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყო მთავარი საბჭოს წევრი.

თავი X

პარტიის ქონება

10.1 პარტიის ქონება შედგება საწევრო შენატანების წევრთა და სხვა.
პირთა კანონით განსაზღვრული შემოწირულობებით,
კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული და სხვა
კანონიერი შემოსავლებისგან.

თავი XI

პარტიის საქმიანობის შეწყვეტა

11.1 პარტიის საქმიანობა წყდება, კანონით დადგენილი წესით, მისი
აკრძალვით, რეორგანიზაციით თვითლიკვიდაციის საფუძველზე.

11.2 რეორგანიზაციის შემთხვევაში პარტიის ქონების გადანაწილების
საკითხს წყვეტს პარტიის ყრილობა.

11.3 პარტიის აკრძალვის ან თვითლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი
ქონება გადაეცემა სახელმწიფო საზინას.

თავი XII

პარტიის სიმბოლიკა

12.1 პარტიას გააჩნია დროშა და გერბი, რომლის გამოყენების წესსა და პირობებს განსაზღვრავს პარტიის მთავარი საბჭო.

12.2 პარტიის გერბის (ლოგო) აღწერილობა შემდეგ ნაირია. ლოგო გადაწყვეტილია 3 ფერში, ლურჯი ოქროსფერი და თეთრი.

წრეში ჩახატულია “კიდევაც დაიზდებიან” მონუმენტის ესკიზი. წრე შედგება 13 ვარსკვლავისგან.

12.3 პარტიის დროშის აღწერილობა შემდეგ ნაირია. დროშა შედგება სამი ფერისგან, ლურჯი, თეთრი და წითელი. ლურჯ დროშაზე წრიულად განთავსებულია ცამეტი წითელი ვარსკვლავი და შუასი 1 დიდი თეთრი ვარსკვლავი.

თავი XIII

წესდებაში ცვილილებებისა და დამატებების შეტანა.

წესდებაში ცვილილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება პარტიის ყრილობაზე დამტკიცების გზით, რომელიც რეგისტრირდება კანონმდებლობის შესაბამისად.